განმარტება შუალედურზე

2. კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული ვადა არ უნდა აჭარბებდეს 2026 წლის 15 თებერვალს ან წარმოდგენილი იქნას ეს ამხანაგობა დიდი დიღომი 217-ის თანხმობა.

სამშენებლო გრაფიკში მითითებული მაქვს ვადა 9 თვედა ასევე დაფიქსირებულია არაუგვიანეს 15.02.2026 წელი. შესაბამისად არ აჭარბებს და პასუხის მომზადებისას გთხოვთ, მიუთითოდ 15.02.2026.

ვინაიდან კორექტირებული არქიტექტურული პროექტით ცვლით ისეთ ფართებს რომლებიც დატვირთულია იპოთეკით, წარმოადგინეთ იპოთეკარის თანხმობა, თანხმობაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად.

იპოთეკარის თანხმობა წარმოდგენილია.

3.41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებულ ექსპერტიზაში საჭიროა განიმარტოს +45,90 ნიშნულზე გასასვლელებთან დაკავშირებით.

+45.90 ნიშნულზე სახურავზე გასასვლელის შესახებ გაცნობებთ, რომ წესების 1009.16 ქვეთავის მიხედვით 4 და მეტ სართულიან შენობებში ერთი კიბე უნდა გაგრძელდეს სახურავამდე ორივეს გაგრძელების ვალდებულება არ არის. ამ პირობის დაცვით შენობაში დაპროექტებული ორი შიგა-გასასვლელის გზა-კიბიდან ერთი მთავრდება 14-ე სართულზე ხოლო მეორე გრძელდება სახურავის ზედაპირამდე ჩვეულებრივი სტანდარტული მარშებით.

სახურავზე მოხვედრა ასევე შესაძლებელია „ბ“ ღერძთან დაპროექტებული შიდა კიბით, რომელიც N404 ბინის შემადგენლობაშია, დუპლექსის ტიპის ბინის შიდა მოხმარებისაა და არ გააჩნია საერთო სარგებლობის გასასვლელი კომპონენტის ფუნქცია. ამ ნაწილში პროექტი კორექტირებისას არ შეცვლილა.

ეს განმარტება ასევე მოცემულია საექსპერტოების 2-ე გვერდზე.

4.სახურავის გეგმაზე არსებული კიბის უჯრედი და დამხმარე ფართები იანაგარიშეთ კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში. არასრული სართული შემთხვევაში ½-ით ,სრული სართულის შემთხვევაში კი სრულად. მოსაკრებლის რიცხვითი მაჩვენებელი ხელახლა გადამოწმდება კ-2 კოეფიციენტის დაზუსტების შემდეგ.

სახურავის გეგმაზე ვექტორულ ფაილში წარმოდგენილია შესაბამისი კროკები. სხვა სართულებზე არ შეცვლილა არაფერი. პირველ სართულის გეგმაზეა აღნიშნული მთლიანი კ2-ის მონაცემები.

28148.91 : 6194 =4.5

მოსაკრებელზე არ მოქმედებს.